ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8054568

ნომერი: AR11155675

თარიღი : 05.08.2026

გაცემის თარიღი : 21.08.2026

გაცნობის თარიღი : 21.08.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შუშის , N 38;

დამკვეთი-განმცხადებელი
- რასიმ რასულ პ/ნ 01891025467
- თბილისი, მექანიზაციის ქუჩა N1

ორგანიზაცია:
- შპს სონნივა ჯორჯია კოდი: 400108744

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

2026 წლის 5 აგვისტოს №AR11155675 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 5 აგვისტოს №AR11155675 განცხადებით მომართა რასიმ რესულმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 11 ნოემბრის №7281462 და 2026 წლის 2 თებერვლის №7791022 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 13 იანვრის №5759643 ბრძანებით №01.11.04.017.352 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საწყობის მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

სამსახურის 2024 წლის 20 თებერვლის №6895974 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 13/01/2022 წლის №5759643 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდა განახლებული საკადასტრო მონაცემები, კერძოდ: საკადასტრო კოდები: №01.11.04.017.361; №01.11.04.017.353; №01.11.04.017.352; №01.11.04.017.349; ფართობი: 1263.0 კვ.მ; 969.0 კვ.მ; 859.0 კვ.მ; 811.0 კვ.მ.

საჯარო რეესტრის 2024 წლის 17 აპრილის №882024571974-03 გადაწყვეტილებით №01.11.04.017.361; №01.11.04.017.353; №01.11.04.017.352; №01.11.04.017.349 საკადასტრო ერთეულები გაერთიანდა და მიენიჭა №01.11.04.017.366 საკადასტრო კოდი.

სამსახურის 2024 წლის 10 ოქტომბრის №7263611 ბრძანებით №01.11.04.017.366 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა საწყობის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2024 წლის 11 ნოემბრის №7281462 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.

სამსახურის 2026 წლის 2 თებერვლის №7791022 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 11/11/2024 წლის №7281462 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2026 წლის 2 თებერვლიდან 2027 წლის 2 მაისის ჩათვლით.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2024 წლის 11 ნოემბრის №7281462 და 2026 წლის 2 თებერვლის №7791022 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან, არ აქვს აღნიშნული ბრძანებების საფუძველზე სამუშაოების განხორციელების ინტერესი. თუმცა, წინამდებარე განცხადებაზე არ არის წარმოდგენილი საპროექტო მიწის ნაკვეთის, დღევანდელი მდგომარეობით, არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882026664709; მომზადების თარიღი: 27/07/2026წ.) თანახმად, №01.11.04.017.366 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთეს წარმოადგენს შპს „სონნივა ჯორჯია“ (ს/ნ 400108744). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის ნომერი: B23179198; მომზადების თარიღი: 04/12/2023წ.) თანახმად, შპს „სონნივა ჯორჯია“-ს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს რასიმ რესულ. შესაბამისად, დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.

განგიმარტავთ, რომ თუ არ გაქვთ სამსახურის 2024 წლის 10 ოქტომბრის №7263611 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე სამუშაოების განხორციელების ინტერესი, საჭიროა დაზუსტებულ იქნეს მოთხოვნა სამსახურის 2024 წლის 10 ოქტომბრის №7263611 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით. აღნიშნული პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში, დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებიც (სამსახურის 2022 წლის 13 იანვრის №5759643 ბრძანება), ჩაითვლება ძალადაკარგულად, ვინაიდან, გასულია 3 წელზე მეტი.

ასევე, აღსანიშნავია, რომ სამსახურის 2024 წლის 11 ნოემბრის №7281462 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში, სამსახურის 2026 წლის 2 თებერვლის №7791022 ბრძანებაც ავტომატურად ჩაითვლება ძალადაკარგულად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამავე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილების მიხედვით, ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან. ამასთან, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამატებითი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის წარმოდგენა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. დაევალოს განმცხადებელს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში:
1.1. დააზუსტოს მოთხოვნა სამსახურის 2024 წლის 10 ოქტომბრის №7263611 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით.
1.2. წარმოადგინოს საპროექტო ტერიტორიის, დღევანდელი მდგომარეობით, არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2026 წლის 5 აგვისტოს №AR11155675 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.